



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 156  
29/01/2020

156-02-4-202001291628



### მუხლიდან მუხლში თანხის გადატანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. გადატანილი იქნას მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებებიდან, შრომის ანაზღაურების მუხლიდან 120 (ასოცი) ლარი მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური უზრუნველყოფის მუხლში, თანამშრომლების (იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტის) ბიულეტენზე ყოფნასთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა მოხდეს ცვლილება საქონელი და მომსახურების მუხლში, კერძოდ: გადატანილი იქნას, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების, ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხარჯიდან 200 (ორასი) ლარი ავტოსატრანსპორტო საშუალების ჯარიმის ხარჯში.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

